ხელოვანის
ტექსტი



თბილისის
საჯარო
ხელოვნების
ფონდი

ანა
გზირიშვილი
ცენტრალური
ბაზარი

www.tpa.fund
info@tpa.fund

მეორე ნაწილი

+++++

ვაგზლის მოზუზუნე ბაზრობიდან მივაბიჯებ ჩემი სახელოსნოსკენ, რომელიც იმავე უბანში მდებარეობს. მშვიდ სივრცეში შევდივარ, ჩემი სახელოსნოს ვაკუუმში, ჩემი საგნებით გარემოცული, განსხვავებით ბაზრის გარშემო მდებარე ქუჩებისგან, რომლებიც უცხო საგნებს დაუკავებიათ.

ჩემს სკამში ვჯდები, ვტრიალებ და ვჩერდები, ჩემი მზერა კუთხეში მდებარე სურათს ხვდება, ბეის ვხედავ; თუმცა ბეის ყოველდღე ვუყურებ ჩემს სახელოსნოში, მისი პრინტები კუთხეში, იატაკზე მაქვს დაწყობილი, სინამდვილეში მას დიდი ხანია, ვეღარ ვამჩნევ.

ბეი cgi პერსონაჟია, რომელიც წლების წინ შევქმენი, სადღაც ამოკითხული სტატიის შთაგონებით, რომელიც 60-იანებში ჩატარებულ NASA-ს ექსპერიმენტს ეხებოდა. ამ ექსპერიმენტში მეცნიერები დელფინებს მეტყველებას ასწავლიდნენ, აინტერესებდათ, როგორ გამოიყენებდა ენას არსება, რომელიც ადამიანი არაა. არსებას, რომელსაც არ აქვს ხელები, –რაც მატერიალური აღქმის ხელსაწყოებია, აგრეთვე, სამყაროს შექმნისა და ნგრევის – სამყაროს სულიერი აღქმა ექნებოდა, ადამიანებისგან განსხვავებული აღქმა.

შევქმენი პერსონაჟი, რომელმაც განზრახ მოიკვეთა ხელები და ამ ქმედებით სრული მოწყვლადობა აირჩია, უარი თქვა პატრიარქალურ სისტემაში მონაწილეობაზე – ხელებით სამყაროს განადგურებაზე.

ჩემში სკულპტურის ზრდასთან ერთად იზრდება სკულპტურის შექმნის სურვილი. მჭირდება შევქმნა ქანდაკება, ვიდრე თავად არ ვიქცევი ქანდაკებად, ვიდრე არ გავქვავდები და დამავიწყდება.

ნიჟარების გროვებს დავატარებდი, სახეცვალებისას, ჩემი კანი იცვლებოდა.

ნიჟარებს ადგილს ვუნაცვლებდი, კანი მცვიოდა.

ცვლად ზედაპირს ვასავარცხლებდი, ნატეხებით ვფარავდი,

შრეებს სხვადასხვა ობიექტებით ვრთავდი, მოგონებები და ნიჟარები მცვიოდა.

ჩემს შემოქმედებით პრაქტიკაშიც, აგრეთვე, კანი მცვიოდა.

თანდათან თავს კანის გროვად აღვიქვამ, ხახვივით.

ან იქნებ არის რაღაც, რაც რჩება, მიუხედავად დანაკარგისა, გადანაცვლებათა მიუხედავად,

არის მარცვალი, გული?

თუკი ჩემი ნაწილები გარდაიცვალნენ, მე როგორღა შემოვბრუნდი,

როგორღაა, რომ ახლა იმას ვაკეთებ, რაც ათი წლის წინ მსურდა?

მალე მოქანდაკე გავხდებოდი, და ვცეკვავდი, ბედნიერი ვიყავი.

ახლა სკულპტურებს ვქმნი და ცეკვის გაკვეთილებზე დავდივარ.

ესე იგი იყო რაღაც, რასაც წრიულად დავუბრუნდი,

რაღაც, რაც დარჩა.

…

თბილისის სტამბის სასტუმროს სარდაფში,

ვესტიბიულიდან ვეშვები, ბეტონის პანდუსით, იქ ორ ქალ კურატორს ვხედავ, ვრცელ, ბნელ, პროჟექტორებით განათებულ სივრცეში დგანან და გაზეთს კითხულობენ ხმამაღლა.

საუბრობენ ახალ აღმოჩენაზე – იდუმალი ქალი ხელოვანი მეოცე საუკუნის დასაწყისში, რომელიც ავანგარდულ ხელოვნებას ქმნიდა; თავის თანამედროვეებში აღიარება ვერასდროს მოიპოვა და, როგორღაც, ახლა ხელახლა აღმოაჩინეს, მის გასაოცრად უჩვეულო ხელოვნებას ახლა განცვიფრებაში

მოჰყავს სახელოვნებო სამყარო. ის სასწაული იყო. მის შესახებ მოსმენაც კი ისე მაგრძნობინებს, თითქოს ჩემში დამალული საგანძური არსებობდეს.

არავინ არაფერი იცოდა ამ ხელოვანის შესახებ, არც მისი ნამდვილი სახელი, არც მისი ბიოგრაფია. მის გამოფენას გეგმავდნენ. ამის პარალელურად იშლება სხვა აქტი – სასტუმროში ქალი მუშაობს. ჟანგმიწისფერი, მოყავისფრო გრძელი თმა აქვს, მოსამსახურის ნაცრისფერი უნიფორმა აცვია და სარეცხ ჯაგრისსა და სათლს დაატარებს. ნაზი, რბილი სახე აქვს და ახალგაზრდაა.

შესვენებებისას პანდუსით ეშვება სარდაფში, სადაც მე კურატორების გვერდით ვდგავარ – ისინი ოდნავ უფრო მოშორებით, სიღრმეში.

გოგონამ სარდაფის შუაგულში მოაგროვა ნატიურმორტული კომპოზიცია დრაპირების, ცოტაოდენი ცვილისა და სხვადასხვა ობიექტებისგან. ინსტალაცია პროექტორითაა განათებული... ჯაგრისებსა და სათლს გადადებს, ნატიურმორტის წინ ჯდება და დაფაზე გადაკრულ ქაღალდზე ხატვას იწყებს. სასტუმროში მუშაობის პარალელურად ის ხატვას სწავლობს.

რამდენიმეჯერ დავინახე, როგორ დაეშვა აქ დასახატად და შემდეგ როგორ დაუბრუნდა თავის მოვალეობებს. ახლა ისევ ეშვება, ჯაგრისებსა და სათლს კუთხეში დებს და ნატიურმორტის წინ იმუხლება, დაფასა და ფურცელს იღებს, ხატვას იწყებს. ნელ-ნელა ვამჩნევ, რომ მისი ნატიურმორტის ძირას, დრაპირებაზე, მოზრდილი ობიექტი დევს, ნელ-ნელა ვხვდები, რომ ეს ცვილის თავია, ვამჩნევ, რომ ცვილის თავს მოთბო შეფერილობის მოყავისფრო ცვილის თმა აქვს. ვამჩნევ, რომ ეს თავი ახალგაზრდა გოგონას პორტრეტის იმიტაციაა.

გოგონა შემომხედავს და დრო ვაკუუმად იქცევა. ეს წამი ჩვენს თვალებშია ჩაკერილი. მთელ ჩემს არსებას, შენელებულად დღაბნის ძრწოლა. ის ტელეპათიურად მაწვდის გზავნილს და მე ვიგებ, თავს ვაცქერდები. ნატიურმორტში მოთავსებული თავი ამ გოგონას ნამდვილი, მოკვეთილი თავია, ის საკუთარ მოკვეთილ თავს ხატავს. როგორ ვერ შევამჩნიე?! ახლა ნატიურმორტი თვალწინ მიცხადდება და ვხედავ, რასაც მე გადღაბნილად, ცვილის სკულპტურად აღვიქვამდი, თურმე ნამდვილი თავია, რომელსაც სისხლი სდის. ნელი ზაფრა თანდათანობით უჯდება ჩემს არსებას, როგორც გოგონასგან გადმონაცვლებული ინფორმაცია – ვიღაცამ ის მოკლა ამ სასტუმროში, ვიღაც ყველგანმყოფი კაცი იმალება ამ შენობაში. ახალგაზრდა ქალი საკუთარ მკვლელობას ხატავს.

ის არის წინა საუკუნის ამოუცნობი ხელოვანი. სურს გამოვიძიო, გამოვარკვიო.

ნელა დგება, ჯაგრისებსა და სათლს იღებს და მისაღებში ადის, უბრუნდება მოსამსახურის სამუშაოს.

ზაფრა, რომელიც გადმომცა, ფართოვდება, თითქოს ჩემში შიში შეიყვანესო, დერეფნისკენ ავრბივარ, ხალხითაა სავსე. ვცდილობ, ვინმე ვიპოვო, ვისაც ამ საიდუმლოს გავუმხელ, მაგრამ არავის სურს მოსმენა ამ არეულ, მოფუსფუსე ბრბოში. სრულიად მომიცავს შიში. ეს დღეები დროებით სასტუმროში ვრჩები, რადგან სახლი არ მაქვს. სხვაგან ვერსად დავრჩები, ფული არ მაქვს. აქ ნაცნობის მიერ გამოჩენილი კეთილგანწყობის წყალობით ვარ. ახლა თავი საფრთხეში უნდა ჩავიგდო, რადგან ვიცი, რომ შენობაში მკვლელია და მე არსად მაქვს წასასვლელი.

ვესტიბიულში სავარძელზე ვჯდები და ვცდილობ გეგმა შევიმუშაო. ვხედავ ქალ კურატორებს, რომლებიც აგრეთვე დედები არიან. ჩამივლიან, ვცდილობ, გავაფრთხილო... არ მისმენენ და მხიარულად, შიდა ეზოსკენ მიმაქანებენ, სადაც წვეულება იმართება და ჩემს ხმას ვერავინ გაიგონებს ხმამაღალი მუსიკის გამო.

გამეორება

ცენტრალური ბაზრის დერეფანს გავდივარ, ვეძებ ადგილს შესაძლო საჯარო სკულპტურისთვის. დერეფნის დასაწყისში, მომრგვალებულ ვესტიბიულში ვჩერდები.

ჭერზე, შუაგულში, რკინის წრიული არმატურაა,

სავარაუდოდ, ჭაღის მონარჩენი.

მეტალის წრის ქვეშ ვდგავარ და ჩემს წარმოდგენაში ცალ ხელს მაღლა ვწევ, არმატურისკენ და ვტრიალდები.

წრისკენ აწვდილი ხელი ბრუნავს – ეს არის სკულპტურა.

შევქმნიდი სპირალში ნასროლი ხელის სკულპტურას,

რომელიც დაღმა ბრუნავს, ჭერზე განთავსებული მეტალის წრიდან.

ხელის სკულპტურა თავდაღმა იბრუნებდა,

ხოლო მე მსურს წრიულად აღმა ავუყვე და ხელს მივწვდე.

ჩემს სახელოსნოში შევდივარ, ცალ ხელს მაღლა ვწევ და ვტრიალებ...

როდესაც შენობას მიუყვები, ცენტრალური ბაზრის არქიტექტურული ელემენტები მეორდება, მაგალითად, მოდერნისტულ სტილში გადაწყვეტილი განათებები ჭერზე ერთგვაროვნადაა ჩაფიქრებული, მაგრამ დაზიანების გამო თითოეულ მათგანს უნიკალური თვისება გააჩნია. გამეორება ფერხდება და ცვალებადობს.

როდესაც არკადებში გადიხარ, გამოცდილება ნაწევრდება. როდესაც სვეტებს ჩაუვლი, დღის შუქი ახამხამებს, თითქოს ხეთა არკადას გადიოდე; გავლას ჩრდილები აფერხებენ. ამას ფოკუსში მოჰყავს დრო და მოძრაობა და ჩემს სვლას რიტმს ანიჭებს.

ინგლისური სიტყვები ნაპოვნი ობიექტებია,

ხანდახან სკულპტურებს ნაპოვნი ობიექტებისგან ვქმნი

ბევრი სიტყვა არ იქმნება ჩემს შიგნით,

ისინი გარეთ დგანან

ხანდახან ვპოულობ და ვინახავ სიტყვებს

ჩემს სიტყვების ოთახში ვათავსებ.

მაგონდება ფიქრი, რომლის გახსენებაზეც ათი წლის წინ ვფიქრობდი.

შესვენება, ინტერმისია, ინტერვალი

ყალიბში ჩავსვა ჩემ მიერ შექმნილი ობიექტების ანაბეჭდები, დავაყალიბო ფორმა და მოვათავსო სიტუაციაში, ისე რომ მერე სხვამ ჩამოასხას სკულპტურა…

თუ სიტყვა ნათელს არ ჰფენს საგანს, რომლის აღწერასაც ვცდილობ, საუბარი კი ეხება მიტოვებასა და ამ ნამდვილი საზრისის არყოფნას, მაშინ რას ჰფენს ის ნათელს? რამეს, მდებარეს ამ საგნის გვერდით?

ჩემს სახელოსნოში ვზივარ და გარს ობიექტები მარტყია.

ჩემი სიტყვები ჰფენენ მათ ნათელს?

თუკი საგანს ვერ ხედავ, როდესაც პირდაპირ უყურებ და მხოლოდ მაშინ ხედავ, როდესაც მის სიახლოვეს იყურები, მაშინ ეს საგნები, გარს რომ მარტყია, მე მფენენ ნათელს?

სად ვხვდებით ჩემი სიტყვები, ჩემი ობიექტები და მე?

უწესრიგობა

ავტო-პორტრეტი-ნაგულისხმები-სხვა-სხეულის-მიერ ფორმირდება,

ბრუნვა,

გუშინ ბრუნვა მესიზმრა,

განათებულ და სუფთა საჯარო სივრცეში ვიყავი, სარკეში ვიყურებოდი, ვბრუნავდი.

ხელებსა და მკლავებს სხვადასხვაგვარად ვათავსებდი სწორი პოზიციის საპოვნელად. მკლავები სიმეტრიულად, მკერდის გასწვრივ, იდეალურად მოქმედებდნენ, შემეძლო, შევწვდომოდი უსასრულო ბრუნვას და სულაც, თანდათან ავჩქარებულიყავი,

შემეძლო არასდროს გავჩერებულიყავი, თუ თავად არ გადავწყვეტდი..

მერე ასე ვცადე, ცალი ხელი მაღლა, ცალი დაბლა და ესეც გამოვიდა

მიხაროდა, რომ შემეძლო სრულყოფილი ბრუნვის მიღწევა

მოზარდი რომ ვიყავი სამეჯლისო ცეკვას ვცეკვავდი,

ეს იყო ჩემი ამოცანა – უნაკლო, უსასრულო ბრუნვისთვის მიმეღწია

მიმეგნო უნაკლო წონასწორობისთვის ცენტრში, სადღაც ჩემი მუცლის შიგნით.

გამეორება

თუ დერეფანს გაივლი, სიტუაცია მოლანდებად იქცევა.

მისი ზოგი ფრაგმენტი უკვე გაიდღაბნა ინერტული პოზიციიდან.

უნდა არსებობდეს კუთხე, რომლითაც ყველაფერი წმინდად, მშვიდად და მთლიანად გადმოიცემა.

კოლონადებისა და ხეების ხეივანი, ღია ველი, ნაწილობრივ შემოღობილი.

ვერტიკალური ფორმები ხედს არღვევენ, როდესაც გაივლი.

როდესაც ხედი გადაიშლება, ჩემი მზერა გარეთ მიემართება და ფართოვდება; როგორც კი ჩემს წინ ვერტიკალური ფორმა ჩნდება, ჩემი მზერის ენერგია იხერგება, კოლონისგან ისხლიტება და ჩემკენ მოემართება და ასე გრძელდება, წინ და უკან, მონაცვლეობით, კოლონადების ხეივნის გაყოლებაზე...

მზერის რღვევა ველისა და საკუთარი თავის აღქმას ამძაფრებს და ველზე მდებარე საკუთარი თავისას, ბაზრობაზე.

ფილმი დაწყებულია, ყველაფერი თავის ადგილასაა, ამ ადგილას.

ეს რა დროა

ხილეული დროითობა?

ხილები თავის გამოსაჩენად განსხეულდებიან

ერთი მეორის თავზე დაწყობილნი

თავისკენ მექაჩებიან.

საგნები, რომლებმაც თავიანთი სივრცე დაკარგეს,

ანდა სივრცეები, რომლებმაც თავიანთი მსახიობები დაკარგეს.

მოულოდნელი მსახიობი,

მოულოდნელი მსახიობი იჩენს თავს.

საწოლში ვწვები და მაგონდება, როგორ გამახსენდა ბეი ჩემს სახელოსნოში.

წამით ვფიქრობ მასზე,

გამახსენდა და ახლა ჩემს თავს ოთახში მდგარს ვხედავ, ბეის გამოსახულებების შემხედვარეს, ჩვენს სხეულებს ერთმანეთის პირისპირ და გადაღმა ვხედავ. გამახსენდა, რომ როდესაც ეს სხეული შევქმენი, თავს ზუსტად მასავით ვგრძნობდი, რომ ხელები არ გამაჩნდა და ასე დავეხეტებოდი.

ბეი 3d პროგრამაში შევქმენი და იმ წამიდან ჩემს თავს ჩემი ხელების ძალაუფლება წავართვი.

მახსოვს, ასე ძალის გამოსახატად მოვიქეცი.

ვდგები, სარკის წინაშე კატასავით ვჯდები და ბეჭების ბრუნვას ვიწყებ, თან ვაცქერდები. ხელებს სახის წინაშე ვითავსებ და ვუცქერ.

სწყურდებათ ჩემს ხელებს,

ცხოველდებიან ჩემი ხელები.

***

იმისთვის, რომ მძლავრად დავტრიალდე ჩემს თავში, ცალ ხელში დამატებითი წონის ჭერა მეხმარება, ხელი დაბლაა მიმართული, იატაკისკენ.

ცალი ხელი დაბლა, შიგ ჩემი პლასტელინის სკულპტურა, ცალი ხელი ცისკენ, ვბრუნავ, სკულპტურა დაბლა მწონის, მეორე ხელი მაღლა მექაჩება. ეს განვრცობადი დაძაბულობა და დამატებული გრავიტაციის მიზიდულობა მეხმარება მივაგნო ცენტრს ჩემს მუცელში.

სხვადასხვა საგნები მიჭირავს: ჩაქუჩი დიდი სიმძიმეა, ანდა ვაშლი, ან რომელიმე ჩემი სკულპტურა.

ჩემი სხეული არჩეული საგნის თანახმად გადალაგდება;

ვაშლი მკლავს მიმრგვალებს, ჩაქუჩი ჩემი მკერდის წინ გაიწვდის ჩემს მკლავს.

თითქოს სიმძიმის საგანი ნემესისი იყოს, რომელიც თან სდევს და იწვევს ჩემს ბრუნვას.

არჩეული საგანი, ხელში მოთავსებული, ზამბარაა, რომელიც სპირალის ფორმას წამოიწყებს,

წარმომავლობაა სპირალისა, რომელიც ორ ცენტრს შუა იბადება – ჩემს მუცელსა და ობიექტს შორის და ჩემი სხეულითაა დაკავშირებული.

სწყურდებათ ჩემს ხელებს.